ქალაქ ბათუმის მერი
ბრძანება №428

ქ. ბათუმი, 07 აგვისტო 2014 წ

ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 132,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ

„თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფო ქონებაზე (წიაღის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამიჯვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილების შესაბამისად, ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 132,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირების თაობაზე ქ ბათუმის მერიის 2014 წლის 10 ივნისის №25/10077 წერილით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ეთხოვა ქ.ბათუმის მერიის სახელზე თანხმობის წერილის გაცემა. ქ. ბათუმის მერიის 2014 წლის 10 ივნისის №25/10077 წერილს თან დაერთო: **ა)** ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 132,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; **ბ)** საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2013 წლის 22 მარტის №03/1476 წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებულ 132,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არ არის გათვალისწინებული ელექტროსადგურის ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსება; **გ)** საქართველოს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს 2013 წლის 02 აპრილის №12-02/1119 და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 04 ივლისის №889 წერილები, რომლითაც დასტურდება, რომ ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 132,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არ ექვემდებარება ბუნებრივ რესურსებზე, მათ შორის წიაღზე დამაგრებას და **დ)** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 30 მაისის №01-10/2279 წერილი, ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 132,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თვითმმართველი ქ. ბათუმის საკუთრებაში დარეგისტრირების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 14 ივლისის №5/26329 წერილის შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი ქ. ბათუმ-

ში, ბაგრატიონის ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 132,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 132,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ დამატებით ქონებას.

3. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

4. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს (ი. არჩაია) საჯარო რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

5. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურს (ე. ლომაძე).

6. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ქონების აღრიცხვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი №61001010495).

7. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტგვერდზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი